ანტიოქიის ეკლესიის მეთაურმა ლიბანში COVID-19 ვაქცინის მიწოდებაში წვლილის შეტანისთვის პატრიარქ კირილეს მადლობა გადაუხადა

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს ლოცვა-კურთხევით და მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების ხელშეწყობით, 2021 წლის 25 ივნისს ლიბანში ჩაიტანეს კორონავირუსის საწინააღმდეგო რუსული ვაქცინის „Спутник V“ პარტია. ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა, დიდი ქალაქის ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქმა უნეტარესმა იოანე X სამადლობელი წერილი გაუგზავნა უწმინდეს პატრიარქ კირილეს. წერილში წერია:

თქვენო უწმინდესობავ, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესო პატრიარქო, ქრისტეში მხურვალედ საყვარელო, ჩვენი ზომიერების თანამსახურო, მეუფევ კირილე, სიხარულით აღვსილნი, ძმურად გეამბორებით და გეუბნებით:

მოგესალმებით დამასკოდან იმედით, რომ ეს წერილი სიკეთესა და ჯანმრთელობაში შეგისწრებთ.

გვსურს, გამოვხატოთ, თქვენდამი ჩვენი გულითადი მადლიერება ყველა იმ ძალისხმევისათვის, რაც გასწიეთ თქვენი ანტიოქიელი მართლმადიდებელი ძმების დასახმარებლად. ურთიერთობები, რომლებიც ჩვენს ეკლესიებს აკავშირებს, მთელი სისავსით გამოხატება და ითარგმნება ქმედითობის ენაზე. ამ წერილით მადლობა მინდა მოვახსენო თქვენს უწმინდესობას იმ დახმარებისთვის, რომელიც თქვენ ბოლო დროს გაგვიწიეთ ვაქცინა „Спутник“-ის გამოგზავნის სახით, რაც იყო თქვენი გულთბილობისა და იმის ნამდვილი გამოვლინება, რომ თქვენ ჩვენი ეკლესიის გვერდით ხართ ჩვენთვის ამ ძმიმე განსაცდელში, რომელთან შეჯახებაც და რომლისგან ზიანის მიღებაც – ვგულისხმობ, კორონავირუსის პანდემიას – მთელს მსოფლიოს მოუხდა.

შევთხოვ მშვიდობის უფალს, დაე, გულმოწყალება გამოიჩინოს და შეიწყალოს სამყარო თვისი, განუსვენოს სული ყოველი გარდაცვლილი მონისა, ნუგეში სცეს სნეულებს და გააძლიეროს მედიცინის ყველა მუშაკი. თქვენთან ერთად აღვავლენ საგანგებო ლოცვებს ყოვლისმპყობელი შემოქმედისადმი, დაე, დაიცვას მან მოსკოვის საპატრიარქო და სრულიად რუსეთი, დაე, განამრავლოს თქვენი სიცოცხლის წლები წმინდა ეკლესიის სამსახუროდ, რომლის შვილებსაც თქვენ სჭირდებით როგორც ღვთივგანბრძნობილი მწყემსობის მაცხოვნებელი წყარო.

+ იოანე X,

პატრიარქი ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთისა

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87804/